

შპს - მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

მარინე გვრიტიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ხათუნა წერეთელი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

სალომე სიორდია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი:

434172584

სახე:

საზოგადოებრივი კოლეჯი

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [x] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №177(07.03.2019წ) ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. მარინე გვრიტიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
3. ხათუნა წერეთელი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
4. სალომე სიორდია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს-მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2019წლის 3-5 აპრილი.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეიმუშავა დაწესებულებაში განსახორციელებელი ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის მიხედვით 2019წლის 3-5 აპრილს ვიზიტი განახორციელა შპს - მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში, მის. ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის№13ბ და ასევე იმ პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებთანაც დაწესებულებას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, როგორც ქ.მარნეულში, ასევე ქ. თბილისში.

ვიზიტის სამივე დღეს ჯგუფმა დღის წესრიგის მიხედვით იმოქმედა და განახორციელა დაგეგმილი აქტივობები. კერძოდ: პირველ დღეს ვიზიტი დაიწყო გაცნობითი შეხვედრით კოლეჯის დირექტორთან, მის მოადგილეებთან, ხარისხის მენეჯერთან. ასევე შევხვდით პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პერსონალს.

მეორე დღეს განვახორციელეთ საგანმანათლებლო და დამხმარე ფართის დათვალიერება, გადავამოწმეთ ფართების ადაპტირების პირობები, აღვწერეთ მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. გავესაუბრეთ დირექტორის მოადგილეებს და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ასევე ხარისხის მენეჯერს.

მესამე დღეს ვიზიტები განვახორციელეთ პრაქტიკის ობიექტებზე, როგორც ქ. თბილისში ასევე ქ. მარნეულში, გავესაუბრეთ პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს. ამავე დღეს გადავამოწმეთ საბიბლიოთეკო სივრცე და საქმის წარმოების წესი.

ვიზიტის ბოლოს მოხდა შემაჯამებელი შეხვედრა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, რომლის დროსაც გავაცანით ვიზიტის წინასწარი შედეგები და ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის პერიოდში ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით ადგილზე გადამოწმებული მონაცემები.

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	260	6	47	865.66კვ.მ	ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის 13ბ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს	**მუხლი 6 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

	საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. **რეკომენდაცია მიეცათ** საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირების დროს იხელმძღვანელონ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებული დოკუმენტის „რეკომენდაციები დაწესებულებებს მოდულური პროგრამების ადაპტირების საკითხებთან დაკავშირებით“ შესაბამისად;
2. **რეკომენდაცია მიეცათ** კოლეჯის სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილი თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაში მოიყვანონ ერთმანეთთან, რათა ყველა დოკუმენტში ერთიდაიმავე თანამშრომლის მოვალეობები იდენტური იყოს;
3. **რეკომენდაცია მიეცათ** მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები გადაამზადონ მოდულის სწავლების და შეფასების თავისებურებების გაცნობის მიზნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა შექმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გარემო, სწავლის, სწავლებისა და დასაქმებისთვის. უზრუნველყოს შრომის ბაზრი მოთხოვნადი მაღალი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტებით, რომელთაც აქვთ ცოდნა, უნარები და ღირებულებები რათა დასაქმდნენ და მოახდინონ შეძენილი ცოდნის რეალიზაცია შრომის ბაზარზე და იყვნენ კონკურენტუნარიან გარემოში წარმატებულები.

კოლეჯის ხედვა კვალიფიციაური სპეციალისტები რეალური დასაქმებისთვის! კოლეჯს გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტები - პროფესიული მასწავლებლები, უზრუნველყოფილია პროფესიული პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი რეგიონში არსებული საწარმოო - დაწესებულებასთან - დამსაქმებლებთან მუდმივი, ინტენსიური თანამშრომლებით და მათი მოთხოვნების მუდმივი კვლევით და ანალიზით. კოლეჯის ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, რაც ცალსახა წინაპირობაა ეფექტური მენეჯმენტისთვის. კოლეჯის ადმინისტრაციას სრულად აქვს გაცნობიერებული პროფესიული განათლების როლი და მნიშვნელობა, რეგიონში პროფესიული განათლების მოთხოვნადობისა და მოწოდებულია ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება უმოკლეს დროში დასაქმებისათვის!

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს-მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 11 თებერვალს №2 ბრძანებით დამტკიცებულ 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან 5 საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულია ცვლილებები (ბრძანება №9, 11.03.2019წ.), რომლითაც საგანმანათლებლო პროგრამებში აისახა ოპტიმიზირებულ საგანმანთლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებში (საგანმანათლებლო სტანდარტებში) განხორციელებული ცვლილებები.
შპს-მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები“-ს მიხედვით (მუხლი3.4.) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებას, ხარისხის მენეჯერის წარდგინებით, ახდენს კოლეჯის დირექტორი, თუმცა სტრუქტურული ერთეულების დებულებაში ხარისხის მენეჯერს თავის ფუნქციებში არ უწერია პროგრამების დირექტორისთვის წარდგენა.
ვინაიდან სტრუქტურული ერთეულების დებულებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილი თანამშრომლების ფუნქციები ერთმანეთისგან განსხვავებულად არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

<u>ჩამოყალიბებული, რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან მის მიერ შექმნილი დოკუმენტები.</u>

დაწესებულების უფლებამოსილი პირის -კოლეჯის დირექტორის ბრძანებით- დამტკიცებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
ესენია:

1. **საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "საფინანსო სერვისების" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services.
პროგრამა დამტკიცებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვალი N2 ბრძანებით.
ცვლილებები განხორციელებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 51 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს (16 კრედიტის მოცულობით) და 13 პროფესიულ მოდულს (51 კრედიტის მოცულობით).

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდებტებისთვის შეადგენს 10 სასწავლო თვეს (სავარაუდო სასწავლო წელი 1).
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 66 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 12 სასწავლო თვე (სავარაუდო სასწავლო წელი 1.5) .

2. **საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა**

პროგრამა შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting.
პროგრამა დამტკიცებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვალი N2 ბრძანებით.
ცვლილებები განხორციელებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 99 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვი: 129 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 17 თვე (სავარაუდო 2 სასწავლო წელი), არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 22 თვე(სავარაუდო 3 სასწავლო წელი). პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 16 პროფესიულ მოდულს (88 კრედიტის მოცულობით).

3. **საგანმანათლებლო პროგრამა- აღმზრდელი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "აღმზრდელის" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 02117-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლკამდელ აღზრდაში..

პროგრამა დამტკიცებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვალი N2 ბრძანებით.

ცვლილებები განხორციელებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 116 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 24 პროფესიულ მოდულს (105 კრედიტის მოცულობით).

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდებტებისთვის შეადგენს 21 სასწავლო თვეს (სავარაუდო სასწავლო წელი 2).

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე (სავარაუდო სასწავლო წელი 3) .

4. **საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ,). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support.

პროგრამა დამტკიცებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვალი N2 ბ რძანებით.

ცვლილებები განხორციელებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 60 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, პროფესიული მოდულების - 44 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს (16 კრედიტის მოცულობით) და 8 პროფესიულ მოდულს (44 კრედიტის მოცულობით).
პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდებტებისთვის შეადგენს 12 სასწავლო თვეს (სავარაუდო სასწავლო წელი 1,5).
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 75 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 15 სასწავლო თვე (სავარაუდო სასწავლო წელი 2) .

ინფორმაციის ტექნოლოგის პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში შექმნილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია კოლეჯის მე-2 სართულზე N3 აუდიტორიაში და გააჩნია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 ოქტომბრის N15 ბრძანებით. დამტკიცებული დებულება.

5. **საგანმანათლებლო პროგრამა საოფისე საქმე**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "საოფისე საქმე/Office Work" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04119-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work
პროგრამა დამტკიცებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვალი N2 ბრძანებით.
ცვლილებები განხორციელებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 59 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 15, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 44 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს (15 კრედიტის მოცულობით) და 15 პროფესიულ მოდულს (44 კრედიტის მოცულობით).
პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 11 სასწავლო თვეს (სავარაუდო სასწავლო წელი 1).
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 89 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 16 სასწავლო თვე (სავარაუდო სასწავლო წელი 2) .

6. **საგანმანათლებლო პროგრამა – საექთნო განათლება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის ,,საექთნო განათლება / Nursing“ საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში / Associate Degree in Nursing.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 180 კრედიტს.
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 210 კრედიტი.

<u>წინასწარი შესწავლით წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმაში მოდულებზე დაშვების წინაპირობა დარღვეული იყო შემდეგ მოდულებში - შინმოვლა და საექთნო საქმე. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის N8 ბრძანების საფუძველზე (04.03.2019 წ) შესწორებული სასწავლო გეგმა, რომელშიც აღნიშნული დარღვევა გამოსწორებულია.</u>

თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ***<u>ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში დარღვეული იყო მოდულებზე დაშვების წინაპიროებები, კერძოდ წინაპირობიანი მოდულის დაწყება ხდებოდა იმ მოდულის დამთავრებისთანავე, რომელიც წარმოადგენს ამ მოდულის წინაპირობას.</u>*** რითაც იზღუდებოდა სტუდენტის უფლება, წინაპირობიან მოდულზე სწავლის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი.
დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ***<u>განეხორციელებინათ ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში</u>***. რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, აღნიშნული შეუსაბამობა გასწორებული იქნა ვიზიტის პერიოდში და შესაბამისობაში მოვიდა „სწავლის შედეგების შეფასების წესთან“, მუხლი 1, (დამტკიცებული დირექტორის N 21 ბრძანებით, 30/10/2018წ), სადაც გაწერილია, რომ სტუდენტს სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს, შესაბამის მოდულზე (რომელსაც აქვს შესაბამისი წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით, თუმცა ყველა პროგრამაში 1 და 2 პუნქტი არასწორადაა ფორმულირებული. კერძოდ, „ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა“ ნაცვლად მითითებულია „საგანმანათლებლო პროგრამა და სარეგისტრაციო ნომერი“.

<u>რეკომენდაცია მიეცათ საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების (საგანმანათლებლო სტანდარტების) ადაპტირების დროს იხელმძღვანელონ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებული დოკუმენტის „რეკომენდაციები დაწესებულებებს მოდულური პროგრამების ადაპტირების საკითხებთან დაკავშირებით“ შესაბამისად.</u>

<u>პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები პროგრამების მიხედვით:</u>

დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან. პრაქტიკის ხელშეკრულებებში გაწერილია პრაქტიკის გავლის პროცედურები, ამასთან ხელშეკრულებებს დანართად მითითებული აქვს პროგრამების მოდულები (გარდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას). დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „პრაქტიკის დებულება'' (დამტკიცებული 2018 წლის 30 ოქტომბერს დირექტორის N 29 ბრძანებით). დებულებაში გაწერილია პრაქტიკის მნიშვნელობა, კოლეჯისთვის, სტუდენტისთვის და ორგანიზაციისთვის. პრაქტიკის სრულყოფილად ჩატარებაზე და შეფასებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის თანამშრომელი-პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც პერიოდულად მონიტორინგს ატარებს პრაქტიკის ობიექტზე. ასევე, პრაქტიკულ სწავლებას ობიექტზე ახორციელებს ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი. პრაქტიკის ობიექტს წინასწარ გადაეგზავნება სტუდენტებისა და სასწავლო მასალების შესახებ ინფორმაცია. ორგანიზაცია ვალდებულია გამოყოს თანამშრომელი (პრაქტიკის ინსტრუქტორი), რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას კოლეჯის მიერ მიწოდებული თემების მიხედვით. ამასთან კოლეჯის მხრიდან პრაქტიკის დაგეგმვას და მონიტორინგს ახორციელებს კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პრაქტიკის მენეჯერი, რომლის მოვალეობები ასევე გაწერილია „კოლეჯის დებულებაში“(მუხლი. 24).

„ბუღალტრული აღრიცხვა“:

- ✓ შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“ (6-მ, 11/09/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).
- ✓ სსიპ-მარნეულის სოფელ ჯანდარის საჯარო სკოლა (7-მ, 2/11/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).

პროგრამაზე „ბუღალტრულ აღრიცხვა“ პრაქტიკის ობიექტები 1 წლის მანძილზე პრაქტიკას გაატარებენ 10 პროფესიულ სტუდენტს(თითოეული).

„საფინანსო სერვისები“:

- ✓ შპს „მარნეული მოლი“(9-მ, 11/09/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).
- ✓ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (1-მ, 11/01/2019წ. მოქმედების ვადა 1 წელი).

,,აღმზრდელი“

- ✓ ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (11/09/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).

,,საოფისე საქმე“

- ✓ სსიპ- მარნეულის სოფელ ჯანდარის საჯარო სკოლა (7-მ, 2/11/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).
- ✓ სსიპ - ქალაქ მარნეულის მე-4 საჯარო სკოლა (6-მ, 02/11/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).
- ✓ სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება - „კულტურის ცენტრი“ (12-მ, 20/12/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).

,,საექთნო განათლება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ (3-მ, 13/09/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).
- ✓ შპს „ ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (8-მ, 29/11/2018წ. მოქმედების ვადა 6 წელი).

დაწესებულებამ ასევე ადგილზე დამატებით წარმოადგინა ა(ა)იპ “საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება HD-T-1 (გაფორმებულია 21.02.2019, მოქმედების ვადა 3 წელი)

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების გადამოწმება შერჩევით. სს„ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მენეჯერმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ იცნობს პროგრამის მოდულებს და ორგანიზაციის მარნეულის ფილიალი მზადაა მოდულის შესაბამისად პრაქტიკა გაატაროს 10 პროფესიულ სტუდენტს ერთ მიღებაზე. მოდულის „საწარმოო პრაქტიკის“ ხანგრძლივობა სასწავლო გეგმაში შეადგენს 3 კვირას. მოდულში საბანკო-საფინანსო ორგანიზაციაში პრაქტიკას გულისხმობს 1 შედეგი. აქედან გამომდინარე, როგორც მითითებულია ხელშეკრულებაშიც, მონაცვლეობით ბანკში პრაქტიკის გავლას შეძლებს 30 პროფესიული სტუდენტი.
რაც შეეხება სავაჭრო ორგანიზაციაში პრაქტიკას, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „მარნეული მოლთან“. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ ერთ წელიწადში პრაქტიკას გაივლის 30 პროფესიული სტუდენტი.
<u>კოლეჯის მიერ მოთხოვნილი კვოტა „საფინანსო სერვისებზე“ შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს. თუმცა, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ 30 პროფესიული სტუდენტის მიღება.</u>

რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს პროფესიული პროგრამის „საექთნო განათლება“ ყველა კლინიკურ პრაქტიკაში პრაქტიკის განმახორციელებელი ინსტრუქტორები არიან თითო-თითო სპეციალისტი, გარდა კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკებისა სამეანო და გინეკოლოგიური საექთნო მართვა და ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრიისა, სადაც პრაქტიკის განმახორციელებელი ინსტრუქტორები არიან 2-2. წარმოდგენილი სასწავლო გეგმა შედგენილი იყო ერთ ჯგუფზე და ითვალისწინებდა ყველა კლინიკურ და შემაჯამებელ პრაქტიკაზე ერთდროულად 20 სტუდენტის გაშვებას. თუ გავითვალისწინებთ პრაქტიკის ინსტრუქტორების რაოდენობას მოდულების მიხედვით და ამავე დროს შეზღუდვას (ერთ პრაქტიკის ინსტრუქტორს ერთდროულად შეუძლია მხოლოდ 7 პროფესიული სტუდენტის ხელმძღვანელობა), რომელსაც ითვალისწინებს კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მოდულები, მაშინ შეუძლებელია აღნიშნული სასწავლო გეგმით ერთდროულად ოცმა სტუდენტმა გაიაროს პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ვიზიტის დროს ***მიეცათ რეკომენდაცია შეეცვალათ საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა და კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკები გაეწერათ არა ისე, როგორც იმ მომენტისთვის იყო წარმოდგენილი, არამედ 20 სტუდენტიანი ჯგუფი დაეყოთ ა, ბ, და გ ქვეჯგუფებად (6-7 სტუდენტი თითეულ ქვეჯგუფში) და შესაბამისად პრაქტიკის გავლის გეგმა წარმოედგინათ სამივე ქვეჯგუფზე გაწერილი.*** დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და მოახდინა სასწავლო გეგმის ცვლილება.
შეცვლილი სასწავლო გეგმის მიხედვით პრაქტიკის გავლა შეუძლია ერთდროულად 20 სტუდენტს და ამავე დროს პრაქტიკის განმახორციელებელი ინსტრუქტორების რაოდენობა მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით წარმოდგენილ პრაქტიკის ობიექტებზე შესაძლებელია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობების პრაქტიკის გავლა, გარდა პროგრამისა „საფინანსო სერვისები“.

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ხელშეკრულებებით (პრაქტიკის შესახებ)
- „კოლეჯის დებულება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- „პრაქტიკის დებულება“(დამტკიცებული 2018 წლის 30 ოქტომბერს დირექტორის N 29 ბრძანებით).
- ”საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“(დამტკიცებული 2018 წლის 30 ოქტომბერს დირექტორის N 24 ბრძანებით).
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია კატალოგი, რომელშიც არ ჩანდა რომ დაწესებულება ჯერ ავტორიზებული არ არის და კატალოგში აღწერილი პროგრამებზე მხოლოდ ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ მოხდება სტუდენტთა ჩარიცხვა. ***ვიზიტის დროს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება დაწესებულებას მხოლოდ ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ ექნება, ასახულიყო კატალოგში განთავსებულ ინფორმაციაში.*** დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და კატალოგში ყველა გვერდზე ჩაამატა ფრაზა: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მიმდინარეობს საავტორიზაციო პროცესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

www.msc.ge

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ რა ეცოდინება, რისი გაკეთება შეეძლება და რა ფასეულობებს შეიძენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები“, რომელიც შედგება 5 თავისა და 24 მუხლისაგან და რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 6), შეჩერების (მუხლი 12), შეწყვეტის (მუხლი 13), მობილობის (მუხლი 5) და არაფორმალურ და ფორმალურ გარემოში მიღებული განათლების აღიარების (მუხლი 15) და უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების (მუხლი 16) წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 30.10.2018 წ. N23 ბრძანებით დამტკიცებული „შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები“-თ

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები“, რომელიც შედგება 5 თავისა და 24 მუხლისაგან და რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროგრამის პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი (მუხლი 4). აღნიშნული წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისთვის შესაძლო ვარიანტებს პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კერძოდ მას შეუძლია გადავიდეს კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამაზე ან აირჩიოს სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი თავის თავზე იღებს ვალდებულებას მოახდინოს ძველ და ახალ პროგრამას შორის შესაბამისობის განსაზღვრა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით სწავლებისას პროფესიული სტუდენტი თავისუფლდება დამატებითი სწავლის გადასახადისგან.
პროფესიული პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს მსგავსი სახის პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეთანხმებებს პროგრამების თავსებადობის დადგენისა და აღნიშნულ დაწესებულებებში მობილობის გამარტივებული წესების შესახებ.
აღნიშნული მიზნებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ორ კოლეჯთან: შპს-ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან და შპს-მარნეულის კოლეჯთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 30.10.2018 წ. N23 ბრძანებით დამტკიცებული „შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები“-თ
- კოლეჯებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის №17 ბრძანებით (25.10.2018წ.) დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომელიც შედგება 8 მუხლისგან და მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, შეფასების სტანდარტებს, შეფასების მიმართულებებს, შეფასების პროცესს და მექანიზმებს, შეფასების მიზანს, შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოყენებულ მეთოდებს შედეგების ანალიზისას და შეფასების და თვითშეფასების ფორმებს.

აღნიშნული სისტემა შეფასების განხორციელების პროცესისთვის ითვალისწინებს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, რომელიც გეგმავს და მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს. მას ხელმძღვანელობს ხარისხის მენეჯერი. ჯგუფი შედგება ყველა პროგრამის თითო წარმომადგენლისგან. მონიტორინგის ჯგუფი შეიმუშავებს: სამუშაო გეგმასა და განრიგს; შეფასების და დაკვირვების ფორმებს; ამუშავებს შეფასების სტრატეგიის დოკუმენტს; აფასებს თემატურ და სასწავლო გეგმებს; ამუშავებს პროფესიული მასწავლებლის შეფასების სტრატეგიებს; შეიმუშავებს კითხვარებს პროფესილი სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების/ინსტრუქტორების და მშობლებისთვის; ამუშავებს სასწავლო პროცესის შეფასების სტრატეგიებს; მონიტორინგს უწევს შეფასების პროცესის მიმდინარეობას; აჯამებს და აანალიზებსმიღებულ შედეგებს და შედეგებიდან გამომდინარე სთავაზობს რეკომენდაციებს კოლეჯის ადმინისტრაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ №17 ბრძანებით (25.10.2018წ.)

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი 05/10/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) მფლობელობაში აქვს 1321კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა №1 (1-ლი სართულის საერთო ფართი 410.46კვ.მ.; მე-2 სართულის საერთო ფართი 455.2კვ.მ) 7წლის ვადით. ასევე ხელშეკრულების საფუძველზე გადმოცემული აქვს იგივე მფლობელისგან წიგნები ბიბლიოთეკისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერით;
- პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა 6 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს. საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსების ჩამონათვალი იდენტურია ჩარჩო დოკუმენტში მოცემული აღჭურვილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ჩამონათვალის, ვიზიტის დროს გადამოწმდა თითოეულ სასაწავლო გარემოში ფაქტიურად არსებულ აღჭურვილობა.

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. კოლეჯს გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა განთავსებისათვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორი, თემატური თვალსაჩინოებები და ყველა ის ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს გააჩნია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ინვენტარით აღჭურვილი A სასწავლო გარემო - 5 აუდიტორია (№1; №4; №5; №17; №19,№7,), B საწავლო გარემო - 2 აუდიტორია (№2; №18) და C სასწავლო გარემო - 1 აუდიტორია (№20), რაც გათვალისწინებულია საექთნო საქმის მოდულური პროგრამისთვის. ვიზიტის მიმდინარეობის დროს დაფიქსირდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისი“ A სასწავლო გარემო მოწყობილი იყო სააქტო დარბაზში. ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე ვიზიტის პერიოდში აღნიშნული გარემო მოეწყო №17 აუდიტორიაში, რომელიც განკუთვნილია ერთ ცვლაში 30 სტუდენტისათვის და აღნიშნული გარემო სრულად აკმაყოფილებს პროგრამის ჩარჩოს დოკუმენტის მატერიალური რესურსების ჩამონათვალს. პროგრამის ,,საექთნო განათლება“ განხორციელება იგეგმება ერთ ცვლაში 20 სტუდენტისათვის N19 და N20 აუდიტორიაში, აღნიშნული გარემო სრულად აკმაყოფილებს პროგრამის ჩარჩოს დოკუმენტის მატერიალური რესურსების ჩამონათვალს. დანარჩენი პროგრამებისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა სრულად შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტში მოცემულ მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების შენობის და აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. სველი წერტილები გამართულია, დაცულია სანიტარული ნორმები, არსებობს სასწავლო ფართის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. კოლეჯში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც სხვა მატერიალურ ფასეულობებთან ერთად კოლეჯის ფართის გადაცემის დროს, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა დაწესებულებას ფართის მესაკუთრისაგან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შ.პ.ს.“სოკარ ჯორჯია გაზი“ გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ელ.ენერგიის და წყლის მოხმარების გადახდის ქვითრებით;
- დაწესებულების მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური და ელექტრონულ მატარებელზე არსებული ფონდი

შეესაბამება სასწავლო პროგრამებში (მოდულებში) მითითებულ ლიტერატურას და რესურსებს.

დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე. მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 30/10 N28 ბრძანებით ბიბლიოთეკისთვის შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე www.msc.ge. დებულებით განსაზღვრულია: ბიბლიოთეკის სტრუქტურა და მართვა; კოლეჯის ბიბლიოთეკარის და ბიბლიოთეკის კოორდინატორის უფლება-მოვალეობები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა. შექმნილია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ინვენტარის წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, საბიბლიოთეკო პრინციპით მოწყობილი კატალოგი. ხორციელდება ელექტრონული ბიბლიოთეკის წარმოების უზრუნველყოფა. ბილიოთეკარს უდასტურდება კვალიფიკაცია

ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი და ყოველდღიურ მიმდინარე საქმიანობას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის კოორდინატორი.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია 602 ბეჭდური ერთეული წიგნადი ფონდით და არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკას აქვს ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული 193 ელექტრონული წიგნადი ფონდი.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტ ქსელით, აღჭურვილია კომბაინის აპარატით, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არის 5 კომპიუტერი, აქედან 1 ბიბლიოთეკარისათვის და 4 სტუდენტების მოხმარებისთვის.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულური პროგრამებით განსაზღვრული სახელმძღვანელოების შერჩევითი პრინციპით შემოწმება და დადასტურდა ბიბლიოთეკაში მითითებული ლიტერატურის არსებობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი, ასევე სხვა სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას.

საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია როგორც ბეჭდურ კატალოგში, ისე ელექტრონულ საძიებო სისტემაში. სისტემა განთავსებულია სასწავლებლის ვებ-გვერდზე www.msc.ge, რაც იძლევა სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ლიტერატურაზე თავისუფალი წვდომის საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით www.msc.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაწესებულებას ჯამში გააჩნია 58 კომპიუტერი, რომელთაგან სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება 48 კომპიუტერი (2 B გარემოსთვის 20-20 პროფესიული სტუდენტებისთვის და 2 პროფესიული მასწავლებლისთვის, ასევე A და C გარემოს 6 კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის, შესაბამისი პროექტორით და პრნტერით), ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი, აქედან 1 ბიბლიოთაკარისათვის და 4 პროფესიული სტუდენტებისათვის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აქვთ 5 კომპიუტერი. ყველა სასაწავლო აუდიტორიაში დამონტაჟებულია ვიდეო თვალი, რომლის მეშვეობითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შესაძლებელია სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება, ყველა აუდიტორიის კარზე გამოკრულია აბრა, რომელიც მიანიშნებს, რომ განთავსებულია ვიდეო თვალი და შესაძლებელია დაკვირვება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ჯენეტი“ ინტერნების და iptv ტელევიზიის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10/09 N1 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი - ელექტრონული საქმისწარმოების დებულება, რომლის მიხედვითაც ხორციელდება გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია; დ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კოლეჯის ვებ-გვერდზე www.msc.ge, მოქმედებს საქმის წარმოების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გასული და შემოსული წერილების, ბრძანებების, სამსახურებრივი ბარათების, ხელშეკრულებების, სხდომის ოქმების ელექტრონული წესით აღრიცხვას. საქმის წარმოების პროგრამაში ფუნქციონირებს დოკუმენტაციის არქივი და მარტივად ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაარქივებული დოკუმენტების მოძიება დოკუმენტების რეგისტრაციის ნომრის და გამოცემის თარიღის შეცვლა არ ხდება.

დაწესებულებაში საქმისწარმოების წესის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულებით მომსახურების გაწევისა და ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შესყიდვის შესახებ;
- ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს დაცვის და უსაფრთხოების წესები, რომლის მიხედვით კოლეჯის დაცვის და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე სამეურნეო და უსაფრთხოების მიმართულებით და უსაფრთხოების მენეჯერი.
შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვილი დაფები, განთავსებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც დამუხტულია (მოქმედების ვადა 05.2019წ.). კოლეჯის შიდა და გარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პერიმეტრი კონტროლდება უსაფრთხოების კამერების მეშვეობით. შენობის 24 საათიან დაცვას ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს შპს“ჯეო სექიურითი“.
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განახორციელა კოლეჯის შენობის სახანძრო ტექნიკური შემოწმება 2018 წლის 18 ოქტომბრის #7187 განცხადების საფუძველზე და წარმოდგინა დასკვნა, რომელშიც გარკვეული შენიშვნებია მითითებული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებლა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ რიგი შენიშვნებისა უკვე გაითვალისწინეს და უახლოეს პერიოდში აპირებენ კვლავ მიმართონ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს კოლეჯის შენობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების მიზნით.
პირველი დახმარების აღმოჩენის მიზნებისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს სამედიცინო უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვით კოლეჯის სამედიცინო კაბინეტს ხელმძღვალელობს ექიმი. კაბინეტი განთავსებულის შენობის პირველ სართულზე, აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (ტაფჩანი, კარადა, მაგიდა, სკამი), პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაბამისი საშუალებებით და მედიკამენტებით. მედიკამენტების ვარგისიანობა გადამოწმდა ადგილზე ვიზუალური დათვალიერების დროს და ყველა მედიკამენტის ვარგისიანობის ვადა დაცული იყო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაცვისა და უსაფრთხოების წესებით;
- სამედიცინო უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- კოლეჯის ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით;
- შპს“ჯეო სექიურითი“სთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ როგორც პირველი, ასევე მეორე სართულის კიბეებზე მოწყობილია პანდუსები, ადაპტირებულია ასევე სველი წერტილები, რომლებიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, პირველ სართულზევეა განლაგებული სამედიცინო პუნქტი და ბიბლიოთეკა, რომელშიც ასევე პანდუსის საშუალებით შეიძლება მოხვედრა. ეტლით მოსარგებლე ადამიანი მეორე სართულზე განთავსებულ აუდიტორიებშიც და ადმინისტრაციულ ნაწილშიც შეძლებს მოხვედრას. ამრიგად, ადაპტირებული გარემოს ფაქტობრივი მდგომარეობის ადგილზე გადამოწმებით დადასტურდა, რომ ყველა საჭირო სერვისის მისაღებად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებს აქვთ მათზე მორგებული ადაპტირებული გარემო.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ მიერ გამოიყოფა პირი, რომელიც დაეხმარება სსსმ პირებს გადაადგილებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუთი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი www.msc.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო (საიტიდან შესაძლებელია დაწესებულებასთან შეტყობინების გაგზავნა მეილის საშუალებით) და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების და მისი ადმინისტრაციული და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, ასევე მისია, ხედვა, სტრუქტურა, მარეგულირებელი დოკუმენტები, აქტივობები, პროგრამები (პროფესიული, სასერთიფიკატო), ინფორმაცია სასწავლო პროცესების შესახებ, დამსაქმებლები, პარტნიორები, ფოტო-ვიდეო გალერეა, დაწესებულების ერთწლიანი (2019წ) და 6 წლიანი გეგმები, SWOT ანალიზი, დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა. ვებ გვერდზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქართულ ენაზე.
ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად (ბოლო სიახლე განთავსებულია 2019 წლის 21 მარტს), ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.
ასევე შექმნილია კოლეჯის Facebook გვერდი, რომელთა მართვა და განახლება ხორციელდება რეგულარულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ვებ-გვერდით - https://msc.ge.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) (2018-2024 წწ.) და ერთწლიანი (2018-2019 წწ) სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 15 ოქტომბრის N 11 ბრძანებით, ცვლილებები განხორციელებულია დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N 3 ბრძანებით. დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. გეგმები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

2019 წლის 15 თებერვლის ბრძანება N3 განხორციელებული ცვლილებები ტექნიკური ხასიათისაა, კერძოდ:

1. სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი ციკლური) გეგმის ნაცვლად დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების (ექვსწლიანი) გეგმა;

2. შესაბამისად ცვლილება შეტანილია სტრატეგიული განვითარების გეგმის სახელწოდებაშიც;

ასევე 2018 წლის 15 ოქტომბრის დირექტორის ბრძანება N11 დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარების გეგმას დამატებული აქვს პუნქტები სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების შესახებ.

სტრატეგიულ გეგმაში (2018-2024წწ.) გათვალისწინებულია სტრატეგიის მიზანი, ხედვა, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზი, პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა, სტრატეგიული ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/პოზიცია, რისკები და ვარაუდები და სხვა. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფრასტრუქტურის განვითარებას და განვითარებას, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება.

სტრატეგიული განვითარების გეგმა მუშავდება „სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, გეგმის შემუშავებაში ჩართული არიან მართვის, ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალი, ასევე (შესაძლოა) პროფესიული სტუდენტები და პარტნიორები. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინება წინა წლის/ების სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგებისა, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნები. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სამოქმედო გეგმის პერიოდი ჯერ არ დასრულებულა, ორგანიზაციას ასეთი ანგარიში ან ანალიზი ჩატარებული არ აქვს.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიული მიზნების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები. ეს დოკუმენტი შესაძლებლობას აძლევს სტრუქტურულ ერთეულებს შიდა მონიტორინგისა და შეფასების პროცესის კოორდინატორს წარუდგინონ სტრატეგიული გეგმის განხორციელების რაოდენობრივი თუ ღირებულებითი მაჩვენებლები. შიდა მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშის შედგენა მოხდება წელიწადში ორჯერ (ექვს თვეში ერთხელ).

2018-2019წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ინფორმაციას: აქტივობების, სავარაუდო ბიუჯეტის, დაგეგმილი ქვეღონისძიებების ჩამონათვალის, განხორციელების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია პასუხისმგებელი პირის (დირექტორის) მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (ექვსწლიანი) 2018-2024წწ. დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 15 ოქტომბრის N 11 ბრძანებით
- სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი) 2019წ. დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 15 ოქტომბრის N 11 ბრძანებით
- „სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია“
- „სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“
- კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პირადი საქმისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები გაწერილია „ერთიანი - ელექტრონული საქმისწარემოების დებულებაში“ (მუხლი. 28) დამტკიცებული 2018 წლის 10 სექტემბრის დირექტორის ბრძანებით N1, „კოლეჯის დებულებით“ თავი III. დამტკიცებული 2018 წლის 10 სექტემბრის დირექტორის ბრძანებით N1 , „პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი“დამტკიცებული 2018 წლის 15 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით N 12 და თითოეული თანამშრომლისათვის შექმნილი ინდივიდუალური დოკუმენტით- „სამუშაოს აღწერილობით“, სადაც გაწერილია თანამშრომლის პირადი ინფორმაცია, უფლება-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები.

„პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესში“ (მუხლი.2) განსაზღვრულია, რომ <u>„პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“.</u>

საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების განმახორციელებლად მითითებული პროფესიული მასწავლებლები შეესაბამებიან კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა:

„საფინანსო სერვისების“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამების ზოგიერთ მოდულზე მითითებული იყო რამდენიმე პროფესიული მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა კონკრეტულად იმ მოდულს.

კერძოდ, ერთ-ერთი პროფესიული მასწავლებელი მითითებული იყო „ბიზნეს ინგლისურის“ მოდულის განმახორციელებლად, თუმცა ამ მიმართულებით მისი კვალიფიკაცია არ დასტურდებოდა. როგორც ადმინისტრაციაში განგვიცხადეს, ეს მასწავლებელი კონსულტირებას უწევს ინგლისურის მასწავლებელს დარგის მიმართულებით. ***<u>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე აღნიშნული პროფესიული მასწავლებელი ამოღებული იქნა „ბიზნეს ინგლისურის“ მოდულის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალიდან.</u>***

ასევე, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „საფინანსო სერვისების“ პროგრამის მოდულების- „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ , ანგარიშის გახსნა-დახურვა“, „დისტანციური საბანკო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მომსახურება“, „ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება“, „სადეპოზიტო მომსახურება“- ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) განმახორციელებლად მითითებული იყო პროფესიული მასწავლებელი, რომელსაც ამ მიმართულებით არ უდასტურდებოდა კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, ეს პროფესიული მასწავლებელი ადმინისტრაციის მიერ ამოღებული იქნა ზემოთაღნიშნული მოდულის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალიდან.

„საფინანსო სერვისების“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამებზე მითითებული დანარჩენი პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება კოლეჯის მიერ „პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესში“ (მუხლი.2) განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროფესიული პროგრამის „საექთნო განათლება“ განმახორციელებლები, პროფესიული მასწავლებლები და პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალი აკმაყოფილებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ საექთნო სფეროში მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება და ინგლისური ენის A1 დონეზე და კომპიურეტული პროგრამების ფლობის დოკუმენტაცია წარმოდგენილია პროფესიული მასწავლებლების და პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში (დაწესებულებამ თავად დაუდასტურა აღნიშნული უნარების ფლობა მოდულების განმახორციელებლებს ტესტირების საფუძველზე).

რაც შეეხება პროგრამებს „საოფისე საქმე“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „აღმზრდელი“, აქაც პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ „პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესში“ (მუხლი.2) განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

პირადი საქმეების შემოწმებისას, პროფესიული მასწავლებლების უმეტესობის პირად საქმეში არ იდო ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ (რომელიც „ერთიანი ელექტრონული საქმისწარემოების დებულების“ და „შინაგანაწესის“ მუხლი 2. მოთხოვნებით უნდა იყოს პირად საქმეში), თუმცა პროფესიული მასწავლებლების პირად საქმეში წარმოდგენილი დიპლომებით მათი კვალიფიკაცია დასტურდება. აღნიშნულ საკითხზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გააკეთეს განმარტება, რომ „ერთიანი ელექტრონული საქმისწარემოების დებულების“ და „შინაგანაწესის“ მუხლი 2-ის მოთხოვნების საფუძველზე ცნობის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებსაც არ უდასტურდება კვალიფაციის შესაბამისობა დიპლომის საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- „ერთიანი -ელექტრონული საქმისწარემოების დებულება“ (მუხლი. 28) დამტკიცებული 2018წლის 10 სექტემბრის დირექტორის ბრძანებით N 1
- კოლეჯის დებულება, თავი მე-3 დამტკიცებული 2018წლის 10 სექტემბრის დირექტორის ბრძანებით N 1
- „პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი დამტკიცებული 2018 წლის 15 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით N 12
- სამუშაოს აღწერილობებით
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.
ამაჟამად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობასა და პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობას შორის თანაფარდობა არის 260/47

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და გაწერილია „პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესში“, დამტკიცებული 2018 წლის 15 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით N 12 და „ერთიანი - ელექტრონული საქმისწარემოების დებულებაში“(მუხლი. 28) დამტკიცებული 2018 წლის 10 სექტემბრის დირექტორის ბრძანებით N 1.

კოლეჯის მიერ ხდება ვაკანსიის გამოცხადება ვებ-გვერდის ან სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. დებულებებში აღნიშნულია, რომ შესაძლოა დაწესებულების მიერ ჩატარდეს კონკურსი/გასაუბრება. შერჩეული კანდიდატების აყვანა პროფესიულ მასწავლებლის პოზიციაზე ხდება განაცხადისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში. თანამშრომლის პოზიციაზე/თანამდებობაზე დანიშვნა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

„ერთიანი-ელექტრონული საქმისწარმოების დებულების“ 28-ემუხლით განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისათვის და პირადი საქმეებისთვის წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა. პირად საქმეებს აწესრიგებს საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი.

პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით პირობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ერთიანი -ელექტრონული საქმისწარემოების დებულება“ (მუხლი. 28) დამტკიცებული 2018წლის 10 სექტემბრის დირექტორის ბრძანებით N 1
- კოლეჯის დებულება, თავი მე-3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- „პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი“დამტკიცებული 2018 წლის 15 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით N 12
- დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/ დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა აქტიურ რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საფინანსო სერვისები	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში- 0412	51	66	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 13ბ	0	30
2	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - 0411	99	129	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 13ბ	0	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

3	აღმზრდელი	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლაკამდელ აღზრდაში - 0112	116	146	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 13ბ	0	40
4	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში- 0612	60	75	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 13ბ	0	40
5	საოფისე საქმე	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში -0415	59	89	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 13ბ	0	40
6	საექთნო განათლება	მეხუთე დონე	ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში - 0913	180	210	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 13ბ	0	40

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი ჩაბარებულია 15.04.2019წ. დასკვნის პროექტთან ერთად.

13.05.2019 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---